პროექტი განხილვებისათვის

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2019 წლის .....

ქ.თბილისი

სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი (შემდგომ - წესი) მიზნად ისახავს:

ა) იმ ფიზიკური პირის საქმიანობის ხელშეწყობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ოჯახური წარმოების სუბიექტს (შემდგომ – ოჯახური წარმოების სუბიექტი) და ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან პირადი მოხმარების მიზნით;

ბ) შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას;

გ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ოჯახური წარმოება - სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით;

ბ) ოჯახური წარმოების სუბიექტი - ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით;

გ) არაორგანიზებული წარმოება - ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ამ წესის მე-4 მუხლით და მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

დ) საბოლოო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს, ცხოველს, მცენარეს, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტ(ებ)ს სარეალიზაციოდ არ იყენებს.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები

1. ამ წესით განსაზღვრული ოჯახური წარმოების სუბიექტზე, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით, არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლი;

ბ) აღიარება;

გ) სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესი;

დ) ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი;

ე) მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი.

2. ამ წესით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე, ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფარგლებში, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ამ სუბიექტთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 4. არაორგანიზებული წარმოება

1.სურსათის/ცხოველის საკვების ან/და პირველადი პროდუქტის წარმოება წარმოადგენს არაორგანიზებულ წარმოებას, თუ ოჯახური წარმოების სუბიექტის საკუთრებაშია, ფლობს ან/და აწარმოებს ერთერთს მაინც:

ა) ფრინველი - 300 ფრთა ან/და მისგან მიღებული კვერცხი;

ბ) ფუტკრის სკა - 10 ერთეული;

გ) ბოცვრისნაირები - 30 სული;

დ)საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებული მსხვილფეხა საქონელისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;

ე)საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონელისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს;

ვ) არაუმეტეს **0,5** ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. პირველი მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა არ გამორიცხავს ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ ამ მუხლის, „ა-ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ რამოდენიმე საკუთრების ერთდროულად ფლობას.

მუხლი 5. მოთხოვნები ოჯახური წარმოების სუბიექტის მიმართ

1. დასაშვებია ოჯახური წარმოების სუბიექტმა, გარდა პირადი მოხმარებისა, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული არაორგანიზებული წარმოების ცხოველური და მცენარეული პროდუქტი პირდაპირ მიაწოდოს საბოლოო მომხმარებელს, მათ შორის:

ა) აგრარულ ბაზარზე განთავსებით;

ბ) ადგილიდან;

გ) კომუნიკაციის დისტანციური საშუალებების გამოყენებით;

დ) საბოლოო მომხმარებლის მიერ შეთავაზებულ ადგილზე მიტანით.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიწოდების ფორმისა, დასაშვებია არაორგანიზებული წარმოების სურსათი/ცხოველის საკვები მიეწოდოს ბიზნესოპერატორს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამ შემთხვევაში ბიზნესოპერატორი ვალდებულია არაორგანიზებული წარმოების სურსათის/ცხოველის საკვები პირდაპირ ან დამზადებული სახით უშუალოდ მიაწოდოს საბოლოო მომხმარებელს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ბიზნესოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ არაორგანიზებული წარმოების სურსათის/ცხოველის მიკვლევადობა, ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს არაორგანიზებული წარმოების სურსათი/ცხოველის საკვების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს, სულ მცირე, ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი ან პირადი ნომერი.

4. ოჯახური წარმოების სუბიექტია ვალებულია:

ა) რეგისტრაცია გაიაროს სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოში;

ბ) შეასრულოს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ-სააგენტო) მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;

გ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

დ) შეასრულოს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მითითებები იმ მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის მცენარის სიჯანსაღეს;

ე) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

ვ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და მათ შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.